

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მისალმება საქართველოს საპატრიარქოს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის: „სვანეთი - ქართული კულტურის სავანე“ მონაწილეებისადმი<sup>23</sup>

(საპატრიარქოს რეზიდენცია, 19 ივნისი, 2006 წელი)

ქალბატონებო და ბატონებო, გულითადად მოგესალმებით ყველას.

მოხარული ვარ, რომ დღეს შედგა ჩვენი შეხვედრა საპატრიარქოში. ეს კონფერენცია ტარდებოდა ლენტეხსა და მესტიაში და დღეს აქ, თბილისში დასრულდება. სვანეთში დავანებული ქართული კულტურა მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია.

კარგად მოგეხსენებათ, რომ, სამწუხაროდ, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც სურთ გააყონ ქართველი ერი და აქვთ სურვილი, წარმოაჩინონ სვანეთი და სვანური დიალექტი, როგორც ქართული ერისაგან დამოუკიდებელი, განსხვავებული კულტურა. ეს ასევე შეეხება სამეგრელოს და სხვა კუთხეებსაც. ჩვენ კარგად ვიცით, საიდან მომდინარეობს ეს. ეს ჯერ კიდევ 200 წლის წინ დაიწყო, როცა რუსეთი ცდილობდა, გაეყო ქართველი ერი. ვფიქრობ, რომ ის ადამიანი, რომელიც ცდილობს წარმოადგინოს სვანური კულტურა, როგორც დამოუკიდებელი ქართული კულტურისაგან, — არის მტერი არა მარტო სვანებისა, არამედ მთელი ქართველი ერისა.

მე დიდი ყურადღებით წავიკითხე კონფერენციის პროგრამა, რომელიც ქვემო და ზემო სვანეთში ჩატარდა, ძალიან მნიშვნელოვანია ის მოხსენებები, რომელნიც უკვე გაკეთდა და რომლებიც წაიკითხება დღეს. მინდა მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც იშრომა ამ მოხსენებებზე.

მწამს, ქართველი ერი არ დაუშვებს, რომ მოხდეს დაყოფა ჩვენი ერისა. ჩვენ გვაქვს ერთი გენი, ერთი კულტურა, ერთი სარწმუნოება და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ქართველმა ერმა ეს მთლიანობა შეინარჩუნოს.

ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაგახაროთ და ღმერთმა გაამთლიანოს სრულიად საქართველო!

<sup>23</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მისალმება იხ.: საპატრიარქოს უწყებანი, №24, 22-28 ივნისი, 2006წ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს საპატრიარქოს ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის, სტეფანეს დიდი ღვაწლით, 2006 წლის 12-13 ივნისს ლენტეხში გაიხსნა სვანეთისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „სვანეთი - ქართული კულტურის სავანე“; სამეცნიერო ფორუმი გაგრძელდა 15-16 ივნისს მესტიაში და შემაჯამებელი სხდომით დაიხურა 19 ივნისს თბილისში, საპატრიარქოს დიდ დარბაზში. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 43 მოხსენება.